ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ა. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის №022/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ, სიითი №.....

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ა.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 05 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ა. ა.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან აიყვანა ადვოკატი მ. ა., რათა დაეცვა მისი ინტერესები. მომსახურების საფასური შეადგენდა 3500 აშშ დოლარს. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ მ. ა.-ს მისცა მისი ძმის ნომერი, რომელსაც ადვოკატმა მ. ა.-მა მოსთხოვა და გამოართვა 4000 აშშ დოლარი, რასაც მ. ა. ა. დათანხმდა.

1.3 საჩივრის ავტორმა დამატებითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 02 აპრილს, რომელშიც აღნიშნა, რომ შეთანხმებული იყვნენ მომსახურების საფასურზე 3 500 აშშ დოლარზე, პირველად ადვოკატ მ. ა.-ს გადაეცა 500 აშშ დოლარი. თანხის სრულად ჩარიცხვის მოთხოვნის შემდეგ საჩივრის

ავტორმა მისცა მისი ძმის ნომერი, რომელსაც ადვოკატმა მოსთხოვა 4000 აშშ დოლარი. ადვოკატს ჩაერიცხა 4000 აშშ დოლარი. ასევე მისი ოჯახისგან კიდევ მოხდა თანხის ჩარიცხვა. მისი თქმით, ადვოკატი ცრუობს, როდესაც აცხადებს რომ თარჯიმნის ფულს იხდიდა ამ თანხიდან, თარჯიმნის ფულს მისი ოჯახი ცალკე ურიცხავდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი აღარ ესწრებოდა სასამართლო პროცესებს, მხოლოდ ორ პროცესს დაესწრო, ასევე როდესაც ურეკავდა და სთხოვდა მასთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლას, არ შედიოდა. საჩივრის ავტორმა მოსთხოვა ადვოკატს სასამართლო გადაწყვეტილების - თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ, გასაჩივრება, რაც მან არ გააკეთა, რის გამოც გავიდა გასაჩივრების ვადა. ასევე არ მიუმართავს ადვოკატს შეწყალების კომისიისთვის. ამის მიზეზად მ. ა. ა. ასახელებს მის თურქულ წარმომავლობას.

1.5 საჩივრის ავტორის განმცხადებით, ადვოკატი მ. ა. მას არ აუცილებია, ადვოკატმა თავად მოახდინა აცილება. ვინაიდან მ. ა.-მა მოატყუა, მან ახალი ადვოკატი აიყვანა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ა.-მა 2018 წლის 19 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება მ. ა. ა.-ის საჩივართან დაკავშირებით და განმარტა, რომ თურქეთის მოქალაქე მ. ა. ა.-ს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე იცავდა 2016 წლის აგვისტოდან 2018 წლის 16 თებერვლამდე. იგი 2016 წელს მსჯავრდებულ იქნა საზღვრის უკანონოდ კვეთისთვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, მისჯილი ჰქონდა 03 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელს იხდიდა N15 დაწესებულებაში. ადვოკატის განცხადებით, მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა მ. ა. ა.-თან ქსნის ციხეში. მას ხელშეკრულების საფუძველზე ევალებოდა მისი ინტერესების დაცვა ექსტადიციისა და თავშესაფრის საქმეებზე, რადგან ხელშეკრულების დადების დროს უკვე მისჯილი ჰქონდა საზღვრის კვეთის გამო. მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების დროს თურქეთიდან უკვე მოსული იყო საექსტრადიციო მასალები, ასევე საჩივრის ავტორს პარალელურად მიმართული ჰქონდა თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის, რაც მიზნად ისახავდა ექსტრადიციის შეფერხებას. ადვოკატმა გაასაჩივრა სამინისტროს უარყოფითი პასუხი საქალაქო სასამართლოში. პროცესებს მსჯავრდებულიც ესწრებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მათ მიერ შეწყალების მოთხოვნით არაერთხელ მიმართვის შემდეგ, 2017 წლის 07 ივლისს პრეზიდენტის შეწყალების აქტის შედეგად მისი დაცვის ქვეშ მყოფი გათავისუფლდა სრულად დანიშნული სასჯელის (წელიწადნახევრის) მოხდისგან. ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ინფორმირებული იყო, რომ ვინაიდან იგი იძებნებოდა, შეწყალების შემთხვევაში მას კვლავ დააკავებდნენ. ადვოკატის განმარტებით, გათავისუფლების შემდეგ იგი აიყვანა ცენტრალურმა კრიმინალურმა პოლიციამ, რადგან იძებნებოდა თურქეთის რესპუბლიკაში მკვლელობის გამო, რისთვისაც მისჯილი ჰქონდა უვადო თავისუფლების აღკვეთა. საჩივრის ავტორის აყვანის დროს, როგორც მის ადვოკატს, დაუკავშირდა პოლიცია და დაიწყო საექსტრადიციო პროცედურები. ადვოკატი მონაწილეობდა საქმეში პროცედურების შესაბამისად და მის დაცვას ახორციელებდა სასამართლოში. მ. ა. ა.-ს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა და ყოველ სამ თვეში მონაწილეობდა მის ყველა პროცესზე.

2.3 ადვოკატის თქმით, ახლად გამოვლენილი გარემოებით შესაძლებელი იყო კიდევ მიემართათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით. ისევ უარი

მოვიდოდა, მაგრამ დროს მოიგებდნენ. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ მიმართვა უნდა მომხდარიყო ექსტრადიციის დასაშვებობის ეტაპზე, რომელიც ძირითადად, ხდება პატიმრობის მეშვიდე თვის ბოლოს. შემდეგ ამ უარს კვლავ გაასაჩივრებდნენ და ა.შ.

2.4 ადვოკატის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკისთვის გადაცემა რომ არ მომხდარიყო, ამ მიზნით არაერთი განცხადება გაგზავნა მთავარ პროკურატურაში, იუსტიციის მინისტრთან, სახალხო დამცველთან, პატრიარქთან, გაეროს ლტოლვილთა კომისარიატში და ა.შ.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მან მონაწილეობა მიიღო საჩივრის ავტორის ყველა სასამართლო პროცესში და მასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ საკითხში. ამასთანავე, ვინაიდან საჩივრის ავტორს საქართველოში არავინ ჰყავდა, იგი უგზავნიდა ციხეში საკვებს, ტანსაცმელს, თანხას და აკითხავდა თვეში ორჯერ, მისი ოჯახისთვის მინდობილობის გასაკეთებლად იმყოფებოდა საელჩოსა და იუსტიციის სახლში.

2.6 ადვოკატის განმარტებით, იურიდიული მომსახურების ჰონორარი შეადგენდა 3 500 აშშ დოლარს, რაც გადახდილ იქნა ნაწილ-ნაწილ, 300-400 აშშ დოლარის ოდენობებით 2 წლის განმავლობაში. კლიენტის ოჯახის მიერ გამოგზავნილი სხვა თანხები დაიხარჯა მინდობილობებზე, აპოსტილზე, თარჯიმნის მომსახურებაზე და ასევე, რიცხავდა თანხას პატიმრის ანგარიშზე.

2.7 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის იანვრის თვიდან, საექსტრადიციო პატიმრობის დასრულებამდე 2 თვით ადრე საჩივრის ავტორი გახდა აგრესიული მის მიმართ. ყოველ შეხვედრაზე ემუქრებოდა, კერძოდ, მომსახურების საფასური გადახდილი ჰქონდა და თუ არ გაათავისუფლებდა, სცემდა. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი ბრალს სდებდა თითქოს მას სურდა მისი თურქეთის რესპუბლიკისთვის გადაცემა.

2.8 ადვოკატის მტკიცებით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მ. ა. ა.-ის ადვოკატი იყო, მისმა კლიენტმა დაიწყო ურთიერთობა სხვა ადვოკატთან - ნ. ფ.-თან. ამის შემდეგ დაიძაბა მათ შორის ურთიერთობა. საჩივრის ავტორი გახდა აგრესიული ადვოკატის მიმართ, ადვოკატს არ განუცხადებია აცილება და შესთავაზა სხვა ადვოკატს გაეგრძელებინა მისი დაცვა. საჩივრის ავტორმა დაურეკა ადვოკატს და უთხრა საქმის მასალები გადაეცა ადვოკატ ნ. ფ.-სთავის, რაც ადვოკატმა მ. ა.-მა განახორციელა. ადვოკატმა იანვარსა თუ თებერვალში პროკურორისგან შეიტყო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებას მ. ა. ა.-მა მიმართა განცხადებით, სადაც საჩივრის ავტორი წერდა, რომ მის დაცვას სხვა ადვოკატი, კერძოდ, ნ. ფ. გააგრძელებდა.

2.9 2018 წლის 16 თებერვალს, პროკურორის სატელეფონო ზარის შემდეგ ადვოკატმა აცილების მოთხოვნით მიმართა მთავარ პროკურატურას. მან ჩართო ადვოკატი გ. ნ.-ი და სთხოვა ადმინისტრაციულ საქმეზე საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა. შესაბამისად, ადვოკატის მტკიცებით მას არ დაურღვევია კანონი ან პროფესიული ქცევის წესები და არ დაუტოვებია იგი დაცვის გარეშე, სანამ საჩივრის ავტორმა თავად არ განაცხადა უარი მისი მომსახურებით სარგებლობაზე.

2.10 მ. ა.-მა საქმის ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა 2018 წლის 07 ივნისს და მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ განმარტებას.

3. მოწმის პოზიცია:

3.1 მოწმემ ნ. გ.-მ განმარტება მისცა საპროცესო კოლეგიას 2018 წლის 06 ივნისს. მოწმის განმარტებით, პირველად მ. ა. ა.-თან მთავარი პროკურატურის პროკურორთან ერთად იყო შესული გასაუბრებაზე. პროკურორს სხვა პატიმარი ჰაყვდა ამოყვანილი და მასთან ჰქონდა გასაუბრება. ამ დროს ამოიყვანეს

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი და ელოდებოდნენ როდის გათავისუფლდებოდა პროკურორი. მსჯავრდებული აგრესიული იყო პროკურორის მიმართ. მსჯავრდებული გაღიზიანებული იყო იმის გამო, რომ თურქეთისთვის გადაცემის შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და პროკურორი ამას ვერ აცნობიერებდა. თარჯიმანი უსხნიდა, რომ დამშვიდებულიყო. ამ გასაუბრებამ ნორმალურად ჩაიარა.

3.2 მოწმემ საჩივრის ავტორი მეორედ ადვოკატ გელა ნიკოლაშვილთან ერთად ნახა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ამ შეხვედრის დროს საჩივრის ავტორმა უთხრა თარჯიმანს, რომ მ. ა.-სთვის გადაეცა, რომ არ სურდა მისი ადვოკატი ყოფილიყო და ადვოკატს შეურაცხმყოფელად იხსენიებდა. მიაჩნდა, რომ ადვოკატ მ. ა.-ს სურდა ის სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფილიყო. მოწმის განმარტებით, მას არ უკითხია რითი იყო უკმაყოფილო, ვინაიდან ის თარჯიმანია და ეს ცდება მის კომპეტენციას. საჩივრის ავტორს თუ ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი დაუსვამდა შეკითხვას, თარგმნიდა, მაგრამ დამოუკიდებლად არ შევიდოდა დიალოგში. მსჯავრდებულმა ასევე განმარტა, რომ ახალი ადვოკატი ნახა, რომელიც რეალურად დაეხმარებოდა.

3.3 მოწმის განმარტებით, მ. ა. ა. ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა თავშესაფრის მოპოვების საქმეზე. ამის შემდეგ როგორ გაგრძელდა გელა ნიკოლაიშვილისა და საჩივრის ავტორის ურთიერთობა მოწმემ არ იცის.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი მ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №...../, სპეციალიზაცია - საერთო.

4.2 მ. ა. ა.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 05 მარტს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2018 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. ა. ა.-ის ოჯახს საადვოკატო მომსახურების საზღაური გამოართვა მათ შორის შეთანხმებულ თანხაზე მეტი; ასევე ოჯახისგან ცალკე მიიღო საქმისწარმოების ხარჯებისთვის თანხა; ადვოკატმა არ გაუწია ჯეროვანი და ეფექტიანი მომსახურება; შეწყვიტა მისი დაცვა.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ა.-ის პროფესიულ ქცევაზე შემდეგი მუხლის ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და ორდერის საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს 030/11 გადაწყვეტილება).

6.4 ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობისას, თუმცა კომისიის კომპეტენციაა შეამოწმოს რამდენად ათანხმებდა ადვოკატი საქმისწარმოების სტრატეგიას კლიენტთან, მოქმედებდა მისი მითითების ფარგლებში.

6.5 მხარეთა პოზიციებით და დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. ა. ა.-მა შეთანხმებით აიყვანა ადვოკატი მ. ა.. მათ შორის 2016 წლის 07 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს ევალებოდა კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს სასამართლოებში, მთავარ პროკურატურაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. ადვოკატს უნდა დაეცვა მ. ა. ა.-ის ინტერესები თავშესაფრისა და ექსტრადიციის საკითხებზე. 2016 წლის 11 ნოემბერს ადვოკატმა გამოითხოვა მ. ა. ა.-ის დახასიათება პირადი საქმიდან N15 პენიტენციური დაწესებულებიდან. ადვოკატმა მ. ა.-მა 2017 წლის 15 აგვისტოს მოითხოვა მ. ა. ა.-ის საექსტრადიციო საქმის მასალების გაცნობა (საქართველოს პროკურატურის კანცელარიის მიღების ბარათი); ადვოკატმა გაასაჩივრა თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება; ესწრებოდა დაცვის ქვეშ მყოფის სასამართლო პროცესებს საექსტრადიციო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ, კერძოდ: 2017 წლის 07 ივლისის (საქმე NXX-ა/XX-XX), 2017 წლის 05 ოქტომბრის (საქმე NXX-ა/XXXX), 2018 წლის 04 იანვრის სხდომას (საქმე NXX-ა/X-XX); 2017 წლის 07 დეკემბერს დაესწრო პროკურორის გასაუბრებას მ. ა. ა.-თან (2017 წლის 07 დეკემბრის გასაუბრების ოქმი); აკითხავდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ურიცხავდა თანხას. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატი მ. ა. მისი ინტერესების დაცვის განმავლობაში 12-ჯერ შეხვდა მ. ა. ა.-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კერძოდ: 2017 წლის 10 ივლისს, 24 ივლისს, 14 აგვისტოს, 31 აგვისტოს, 06 სექტემბერს, 20 სექტემბერს, 03 ოქტომბერს, 23 მარტს, 20 ნოემბერს, 07 დეკემბერს, 18 დეკემბერს, 29 დეკემბერს (N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2018 წლის 22 ივნისის ცნობა ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის შეხვედრების თაობაზე).

6.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიუღებლობა თავისთავად არ გულისხმობს არაკვალიფიციურ დაცვას. ადვოკატ მ. ა.-ის ვალდებულებას წარმოადგენდა აღებული ვალდებულების ფარგლებში და შეთანხმებული წესით გაეწია

კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურება, რადგან აღნიშნული თავისი არსით კვალიფიციური მომსახურების გაწევასა და კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვას გულისხმობს, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა მ. ა.-მა შეასრულა. ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის და საპროცესო კოლეგია ვერ იმსჯელებს რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა მ. ა.-მა კლიენტის საქმის წარმოებისას და რამდენად სწორი იყო მის მიერ განხორციელებული მოქმედებები, თუმცა დისციპლინური საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატის ქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და შეესაბამებოდა ხელშეკრულებებით ნაკისრ მოვალეობებს. შესაბამისად, ადვოკატ მ. ა.-ის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა არ დგინდება.

6.7 ეთიკის კომისიამ მ. ა. ა.-ის პრეტენზისთან, დაცვის შეწყვეტასთან დაკავშირებით, იმსჯელა ადვოკატ მ. ა.-ის პროფესიულ ქცევაზე შემდეგი მუხლის ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

6.8 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი ადვოკატს უფლებას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება.

6.9 მ. ა. ა.-ის პრეტენზია, ადვოკატ მ. ა.-ის მიერ მისი დაცვის შეწყვეტასთან დაკავშირებით, არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან მ. ა.-მა მას შემდეგ მიმართა მთავარ პროკურატურას აცილების მოთხოვნით, რაც მისთვის ცნობილი გახდა მ. ა. ა.-ის მიერ სხვა ადვოკატის, კერძოდ, ნ. ფ.ს აყვანის შესახებ, ასევე ადვოკატის მიერ აცილების დაყენებამდე საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. ა.-ს მოსთხოვა მისი საქმის მასალების სხვა ადვოკატისთვის გადაცემა. საქმეში წარმოდგენილია 2017 წლის 25 დეკემბრის სატელეფონო საუბრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება მ. ა. ა.-ის მიერ სხვა ადვოკატის აყვანა. მ. ა.-მა მ. ა. ა.-ის ადმინისტრაციულ დავაზე საქმის წარმოება გადააბარა ადვოკატ გ. ნ.-ს, ხოლო სისხლის სამართლის კუთხით მ. ა. ა.-ის დაცვა გააგრძელა მის მიერ დაქირავებულმა ახალმა ადვოკატმა. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ ადვოკატმა მ. ა.-მა დაარღვია საქმეზე უარის თქმის წესი.

6.10 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ა.-ის პროფესიულ ქცევაზე შემდეგი მუხლის ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისთვის“.

6.11 საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება არამხოლოდ მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, არამედ ადვოკატმა კლიენტს წინასწარ უნდა აცნობოს საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა, გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები. ჰონორარი მხოლოდ მაშინ იქნება განსაზღვრული და შეთანხმებული მხარეებს შორის, როდესაც, ნორმის შესაბამისად, წინასწარაა განსაზღვრული გამოთვლის წესი და ის მისაღებია კლიენტისთვის.

6.12 „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისთვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

6.13 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო ადვოკატთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. 2016 წლის 07 აგვისტოს მ. ა. ა.-სა და ადვოკატ მ. ა.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მომსახურების ღირებულება შეადგენდა 3500 აშშ დოლარს. გადახდის ვადად განისაზღვრა ერთი თვე, ასევე ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ნებისმიერი შედეგის დადგომისას თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. ადვოკატი მ. ა. იღებდა ვალდებულებას დაეცვა მ. ა. ა.-ის ინტერესები საქართველოს სასამართლოებში, მთავარ პროკურატურაში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. ასევე, მოენახულებინა მსჯავრდებული ციხეში თვეში ერთხელ ან/და ორჯერ, შეეტანა განცხადებები სასამართლოში, პროკურატურასა და ციხის ადმინისტრაციაში საჭიროების შემთხვევაში.

6.14 შესაბამისად, მ. ა. ა.-ისთვის ცნობილი იყო, რომ 3500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა, ადვოკატი მ. ა. ადასტურებს ნაწილ-ნაწილ 3500 აშშ დოლარის მიღებას და ასევე, სადავოდ არ ხდის მის მიერ სხვა თანხების აღებასაც. მისი მტკიცებით, მ. ა. ა.-ის ოჯახის მიერ გამოგზავნილი სხვა თანხები დაიხარჯა მინდობილობებზე, აპოსტილზე, თარჯიმნის მომსახურებაზე და ასევე, რიცხავდა მსჯავრდებულის ანგარიშზე, რასაც ადასტურებს 2017 წლის 06 ოქტომბრის განცხადება დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე, საქართველოს ფოსტით გზავნილის გაგზავნის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მ. ა. ა.-ის ანგარიშზე 2017 წლის 27 ივლისის, 31 აგვისტოს, 03 ოქტომბრის, 2018 წლის 04 იანვრის თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრები. ადვოკატ მ. ა.-ის მიერ წარმოდგენილი ქვითრების თანახმად, კლიენტისთვის ჩარიცხული თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 2841.60 ლარს. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება მ. ა. ა.-ის არაინფორმირებულობა მომსახურების საფასურის გამოთვლის წესისა და გადახდის შესახებ.

6.15 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ დისციპლინურ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ადვოკატ მ. ა.-ის არაეთიკური ქცევა, მის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 ნაწილების დარღვევა, შესაბამისად, კომისიის შეფასებით ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6.16 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №022/18 ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ /სიითი №...../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/